

მიმართვა დახვედრის ცერემონიის დროს

თბილისი, ორშაბათი, 8 ნოემბერი, 1999 წ.

ბატონო პრეზიდენტო,  
თქვენო უწმიდესობაჲ,  
პატრიარქო სტუმრებო,  
ძვირფასო ძმანო და დანო,

1. წლების მანძილზე მსურდა ვწვეოდი თქვენს მშვენიერ ქვეყანას. ეს სურვილი გამოიძლიერა თქვენი უწმიდესობისა და ბატონი პრეზიდენტის ჩამობრძანებამ ვატიკანში. მას შემდეგ, წმიდა პეტრეს სიტყვებით რომ ვთქვათ, "მით უფრო მეტი წადილით ვესწრაფოდი თქვენს ხილვას" (1 თესალ. 2:17) თქვენსავე ქვეყანაში. და აი, ღმერთმა ისმინა ჩემი ვედრება. მადლობას ვუძღვნი მას, ვინც არის ერთადერთი "წმიდა, ძლიერი და უკუდავი" (შდრ. ტრიზაგიონი)

მადლიერი ვარ თქვენი, ბატონო პრეზიდენტო, ჩემი საქართველოში მოწვევისთვის, იმ ძალისხმევისთვის, ჩემი ვიზიტის განსახორციელებლად რომ გაიღეთ. მადლობა გულთბილი მისალმებისთვის საქართველოს მთავრობისა და ხალხის სახელით.

მადლობას გიძღვნი თქვენო უწმიდესობაჲ და უნეტარესობაჲ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქო. თქვენი ძმური მხარდაჭერის გარეშე ხომ ჩემი ვიზიტიც არ შედგებოდა. თქვენ იცით, რომ აქ ჩამოველ მომლოცველად რწმენისა და სიყვარულისა, რათა ვესტუმრო თქვენდამი რწმუნებულ ეკლესიას. რათა ქრისტესმიერი მშვიდობით მოგესალმით თქვენ და წმინდა სინოდის წევრებს. და პატივი მივაგო თქვენი ეკლესიის მრავალსაუკუნოვან ქრისტიანულ ტრადიციას. მე მოველ აღსაყვამ იმ რწმენით, რომ ქრისტიანული ხანის მესამე ათასწლეულის მიჯნაზე, უნდა ვეცადოთ გავდეთ ახალი ხიდეები, რათა ქრისტიანებმა ერთი გულთ და აზრით ამცნონ სახარება მთელ მსოფლიოს.

"ძმური სიყვარულით" (რომაელთა, 12:10) მივესალმები მონსინიორ ჯუზეპე პაზოტოს, ლათინური, სომხური და ასირიულ-ქალდეური წესის კათოლიკე მღვდლებს, ბერ-მონაზვნებსა და საერო პირთ. განზრახული მაქვს ვილოცო ჩემს კათოლიკე მძებთან და დებთან ერთად, რათა მადლობა ვუძღვნათ უფალს მათ მიერ წარსული გამოჩენილი სიმტკიცისა და იმედიანი აწმოსთვის.

2. საქართველოს მიწას პირველად დაგადგი ვეხი და თვალწინ წარმომიდგა თქვენი ქვეყნის უძველესი და დიდებით მოსილი ქრისტიანული წარსული, რომელიც დასაბამს იღებს წმ. ნინოს ქადაგებიდან მეთხუთსე საუკუნის დასაწყისში და გახტანგ გორგასლის მეფობიდან მეხუთე საუკუნის მიწურულს. შემდგომ ეპოქებში კი ქრისტიანობა, განსაკუთრებით მონასტრებში, იქცა იმ ნოევიერ ნიადაგად, რომელზეც აღმოცენდა ქართული კულტურა. ძნელბედობის გამსაც, სწორედ ეკლესია იდგა ქართული მეობის სადარაჯოზე. ვინ მოთვლის, რამდენჯერ აუოხრებია მტერს საქართველო; და მაინც, ქართველმა ერმა შეინარჩუნა თავისი უროვნული იდენტობა და დღემდე მოიტანა იგი. ეს დასტურია არა მხოლოდ ქართველი ერის სიმტკიცისა, არამედ ქართულ მიწაზე სახარების უშრეტე მაცოცხლებელი ძალისაც. ქრისტეს რწმენამ ხომ არაერთხელ იხსნა საქართველო უშიშესი განსაცდელისგან.

ადმოსავლეთისა და დასავლეთის შესაყარზე მყოფი ქართული ეკლესია ყოველთვის მჭიდროდ ურთიერთობდა სხვა ქრისტიან ერებთან. რომის საყდართან საქართველოს კავშირები დროა დრო მტკიცდებოდა და დრმავედებოდა, და თუმცა ზოგჯერ გარკვეულ დაძაბულობასაც უჩენია თავი, საბოლოოდ მაინც საერთო ქრისტიანული სულისკვეთება იმარჯვებდა. ჩემი აქ ყოფნა ნიშანია იმისა, თუ რაოდენ ესწრაფვის კათოლიკური ეკლესია ურთიერთობის განვითარებას ქართულ ეკლესიასთან, რათა აღსრულდეს ქრისტეს ღოცვა, რომელიც უფალმა სიკვდილის წინადადეს წარმოთქვა თავის მოწაფეთა ერთობისთვის. (შდრ. იოანე 17, 23).

3. ქრისტიანობამ უდიდეს კვალი დააჩნია საქართველოს წარსულს და არანაკლებ გაეღენას იქონიებს მის მომავალზეც. სწორედ ხეალ სრულდება ათი წელიწადი ბერლინის კედლის დაცემიდან. ამ ისტორიულმა მოვლენამ, რომელშიც თქვენ, ბ-ნო პრეზიდენტო, მეტად მნიშვნელოვანი წვლილი მიგიძღვით, დასაბამი მისცა ახალ ერას მრავალი ქვეყნის ცხოვრებაში. ათეისტური იდეოლოგია ამოიდ ცდილობდა შეერყია და მოესპო ქართველი ხალხის რელიგიური რწმენა. იდეენებოდა ყოველგვარი სარწმუნოება. მართლაც აღტაცებისა და მადლიერების ღირსია თქვენი სულიერი სიმტკიცე უდიდესი მოვლენა გახლდათ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება 1991 წელს. დღევანდელი დღის ამოცანას კი რეგიონში მშვიდობის დამყარება წარმოადგენს, თანხმობისა და თანამშრომლობის განმტკიცება, რათა თავისუფლებამ ხელი შეუწყოს კულტურის აყვავებას, თქვენი ქრისტიანული ფესვებიდან წარმოქმნილი ძალების მოკრებას და ამ მშვენიერი ქვეყნის შესაფერისი და ღირსეული საზოგადოების შექმნას.

მატერიალური თუ სულიერი აღორძინების გზა იოლი როდია, საქართველოს ცაზე ჯერაც არ გამქრალა დრუბლები, მაგრამ ბიბლიაში ნათქვამია: "და აჰა, მიიწურა ზამთარი, ჟამი ნიაღვრისა გორდახდა, წავიდა თავისთვის" (ქებათა ქება 2,11). დადგა ღრო ახალი მარცვლის მიმობნევისა. დაე, ახალი ათასწლეულის გარეთარეზე, საქართველომ, ჟამთა სიავეს გადარჩენილმა, კელავაც შემოსძახოს სიმღერათა სიმღერა: "მიწამ ვვაილი გამოილო, სიმღერის დროა, მტრედის დულუნი ეფინება მშობლიურ მხარეს" (ქებათა ქება 2,12).

ან, დიდი რუსთველის სიტყვებით რომ ვთქვათ: "ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მათოვდეს, / ობოლ-ქერიენი დაამდიდრნეს და ვლახაკი არ ითხოვდეს, /ავთა მქნელნი დააშინნეს, კრავნი ცხვართა ვერ უწოდდეს, /შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად ძოვდეს".

ბ-ნო პრეზიდენტო, თქვენო უწმიდესობაჲ და უნეტარესობაჲ, დაე მან, ვისაც ხელწიფება მოგვცეს მეტი, ვიდრე ჩვენა ვთხოვთ" (ეფესელთა 3, 20), გარდმოუვლინოს საქართველოს ამგვარი მომავალი.

ღმერთმა დალოცოს ეს მიწა, მოჰმადლოს მას თანხმობა, მშვიდობა და კეთილდღეობა!